

დამტკიცებულია: ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“
აღმასრულებელი საბჭოს 12.01.2018 წლის გადაწყვეტილებით

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

საერთაშორისო თანამშრომლობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომიტეტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის (შემდგომში - „ასოციაცია“) საერთაშორისო თანამშრომლობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომიტეტი (შემდგომში - „კომიტეტი“) წარმოადგენს ასოციაციის მუდმივმოქმედ ორგანოს.
- 1.2. კომიტეტი შექმნილია ასოციაციის წესდების 15.1 მუხლის „წ“ პუნქტისა და 16¹ მუხლის შესაბამისად.
- 1.3. კომიტეტის საქმიანობის წესს დებულების სახით ამტკიცებს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.
- 1.4. კომიტეტი შექმნილია უვადოდ და უფლებამოსილების განხორციელებას იწყებს წინამდებარე დებულების დამტკიცებისთანავე.

მუხლი 2. კომიტეტის საქმიანობის მიზანი

კომიტეტის მიზანია ასოციაციის საერთაშორისო კავშირებისა და თანამშრომლობის გაღრმავება-განვითარების ხელშეწყობა და ასოციაციის საქმიანობის გამჭვირვალე და საუკეთესო წარმოჩენისათვის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის უზრუნველყოფა, რაც ემსახურება საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ასოციაციის, როგორც მართლმსაჯულების სისტემაში მნიშვნელოვანი სუბიექტის, საუკეთესოდ პოზიციონირებას და ადვოკატის საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას.

მუხლი 3. კომიტეტის ამოცანები და საქმიანობა

3.1. კომიტეტის ამოცანებია:

- 3.1.1. ასოციაციის მიერ საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების ხელშეწყობა და მათი უწყვეტობის უზრუნველყოფა;
- 3.1.2. უცხო ქვეყნების ადვოკატთა ასოციაციების დელეგაციების საქართველოში ვიზიტებისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დელეგაციის საზღვარგარეთ ვიზიტების დაგეგმვა და ორგანიზება ასოციაციის აპარატთან თანამშრომლობითა და კოორდინაციით;

- 3.1.3. ასოციაციის თავმჯდომარესა და აპარატთან კოორდინაციით საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციებთან ურთიერთობების გამყარება და განვითარება;
- 3.1.4. კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო თუ საქართველოს მასშტაბით დონორ ორგანიზაციებთან, სათანადო უწყებებთან, სხვადასხვა ინსტიტუტებთან, ორგანიზაციებთან და სააგენტოებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- 3.1.5. კომპეტენციის ფარგლებში ასოციაციის წევრების და მისი სტრუქტურული ერთეულებისათვის რეკომენდაციის გაწევა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად;
- 3.1.6. წინამდებარე დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში ასოციაციის თავმჯდომარის სახელით და აპარატისთვის წარსადგენად საზღვარგარეთ ან ადგილობრივ დონეზე გასაგზავნი ოფიციალური წერილების/მიმართვების პროექტების შედგენა, მათთან დაკავშირებული დოკუმენტების სისტემატიზება;
- 3.1.7. ასოციაციის აპარატთან კოორდინაციით, უცხო ქვეყნების ადვოკატთა ასოციაციებთან და საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციებთან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ურთიერთობების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა და პერიოდული განახლება;
- 3.1.8. ასოციაციის თავმჯდომარესა და აპარატთან კოორდინაციით, ასოციაციის საქმიანობის განხორციელების თაობაზე საზოგადოების ინფორმირება;
- 3.1.9. ასოციაციის თავმჯდომარესა და აპარატთან კოორდინაციით, მასმედიასთან ურთიერთობა პრესკონფერენციების, ბრიფინგების, შეხვედრების, სემინარებისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, ასოციაციის ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება;
- 3.1.10. ასოციაციის თავმჯდომარის ოპერატიული ინფორმირება საზოგადოებრივი აზრის შესახებ;
- 3.1.11. ასოციაციის თავმჯდომარესა და აპარატთან კოორდინაციით, სახელმწიფო, არასამთავრობო, საზოგადოებრივ, ჰუმანიტარულ თუ რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება და კოორდინაცია;
- 3.1.12. ასოციაციის თავმჯდომარისა და აპარატისთვის წარსადგენად ასოციაციაში მიმდინარე პროცესების ამსახველი ინფორმაციის მომზადება;
- 3.1.13. ასოციაციის საუკეთესოდ პოზიციონირების ხელშეწყობა და აპარატისთვის ამ მიმართულებით რეკომენდაციების გაწევა, მათ შორის, ასევე ინტერნეტ-სივრცეში;
- 3.1.14. კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, ასოციაციის თავმჯდომარესა და აპარატთან კოორდინაციით, შეხვედრების ორგანიზება, მოლაპარაკებებისა და კორესპონდენციის წარმოება, შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების პროექტების მომზადება, ხელმოწერა და მათი სისტემატიზაცია და კოორდინაცია;
- 3.1.15. კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავება და თავმჯდომარისათვის და აპარატისთვის მიწოდება;
- 3.1.16. ასოციაციის თავმჯდომარისა და აპარატისთვის წარსადგენად საერთაშორისო ფორუმებზე, კონფერენციებსა და ღონისძიებებზე, შესაბამის პროგრამებსა და ტრენინგებში მონაწილე კანდიდატთა თუ დელეგაციის წევრთა შერჩევა;
- 3.1.17. ასოციაციის აპარატთან თანამშრომლობით საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის

ასოციაციის თაობაზე განახლებული ინფორმაციის მიწოდება და განთავსება;

3.1.18. კომპეტენციის ფარგლებში საკანონმდებლო ინიციატივების, წინადადებების შემუშავება და თავმჯდომარისათვის წარდგენა;

3.1.19. ასოციაციის თავმჯდომარისა და აპარატისთვის წარსადგენად, ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მიმართულების განვითარების გეგმისა და პრიორიტეტების შემუშავება და მისი განხორციელებისათვის საჭირო სხვა აქტივობების განსაზღვრა.

3.2. თავისი ამოცანების განსახორციელებლად კომიტეტი:

3.2.1. ასოციაციის სახელით, ასოციაციის თავმჯდომარესა და აპარატთან კოორდინაციით, გეგმავს ვიზიტებს და მართავს შეხვედრებს;

3.2.2. ამზადებს სათანადო საინფორმაციო მასალას და ასოციაციის თავმჯდომარესა და აპარატთან კოორდინაციით აწვდის სათანადო პირებს;

3.2.3. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დახმარების მისაღებად მიმართავს ასოციაციის სათანადო სტრუქტურულ ერთეულებს;

3.2.4. შეიმუშავებს კანონპროექტებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს სამართლის სათანადო მიმართულების რეფორმების საკითხებზე კომპეტენციის ფარგლებში, რომელსაც წარუდგენს ასოციაციის თავმჯდომარესა და აპარატს.

3.2.5. ასოციაციის თავმჯდომარესა და აპარატთან კოორდინაციით, თანამშრომლობს სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ინსტიტუციებთან და მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ კოალიციებთან.

3.2.6. ასოციაციის თავმჯდომარესა და აპარატთან კოორდინაციით, აწყობს ფორუმებს, სამუშაო შეხვედრებსა და კონფერენციებს.

3.2.7. აღმასრულებელი საბჭოსათვის შეიმუშავებს საჯარო განცხადებების პროექტებს კომიტეტის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე.

3.2.8. აანალიზებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და ატარებს კვლევებს.

მუხლი 4. კომიტეტის შემადგენლობა

4.1. კომიტეტი შედგება არანაკლებ 7 და არაუმეტეს 15 ადვოკატი წევრისაგან.

4.2. კომიტეტს ჰყავს თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს აღმასრულებელი საბჭო.

4.3. კომიტეტის თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე აირჩევიან კომიტეტის უფლებამოსილების ვადით.

4.4. კომიტეტის დანარჩენ წევრებს კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

4.5. კომიტეტის წევრები აირჩევიან 1 წლის ვადით. შესაძლებელია კომიტეტის წევრის ხელახალი არჩევა.

4.6. კომიტეტის წევრი შეიძლება ვადამდე იქნას გაწვეული კომიტეტის შემადგენლობიდან

აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, კომიტეტის თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე.

4.7 კომიტეტის თავმჯდომარეს უფლება აქვს კომიტეტში მოიწვიოს სხვადასხვა დარგის ექსპერტები და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები, როგორც სასამართლო სისტემიდან ასევე სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებიდან.

მუხლი 5. კომიტეტის სხდომა

5.1. კომიტეტი თავის უფლებამოსილების განხორციელებისას ატარებს სხდომებს, რომლებიც მოიწვევა არანაკლებ თვეში ერთხელ. სხდომის ჩატარების დრო და ადგილი გაისაზღვრება კომიტეტის თავმჯდომარის მიერ.

5.2. კომიტეტის სხდომა ასევე შეიძლება მოწვეულ იქნას ასოციაციის თავმჯდომარის ინიციატივით.

5.3. კომიტეტის სხდომის მოწვევის ორგანიზაციულ საკითხებს უზრუნველყოფს კომიტეტის თავმჯდომარე ან თანათავმჯდომარე.

5.4. კომიტეტის მდივანი სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ 3 დღით ადრე კომიტეტის წევრებს ელექტრონული ფოსტის ან სატელეფონო შეყოვნების მეშვეობით აცნობებს სხდომის მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ.

5.5. კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომიტეტის წევრთა მესამედზე მეტი. კომიტეტის თითოეული წევრი უფლებამოსილია დააყენოს წინადადება სხდომის დღის წესრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

5.6. კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გამამწვეტია კომიტეტის თავმჯდომარის ხმა.

5.7. კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით. გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებულ იქნას ელექტრონული ფოსტით დადასტურებითაც, თუკი კომიტეტის წევრების სიითი შემადგენლობის უმრავლესობა ელექტრონული ფორმით გამოხატავს თანხმობას და ეს აისახება კომიტეტის სხდომის ოქმში.

5.8. კომიტეტის სხდომაზე შედგება ოქმი, რომლსაც ადგენს მდივანი. ოქმს ხელს აწერს კომიტეტის თავმჯდომარე ან თანათავმჯდომარე და მდივანი, რაც ადასტურებს საოქმო ჩანაწერის სიზუსტეს.

მუხლი 6. კომიტეტის თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე

6.1. კომიტეტის თავმჯდომარე კოორდინაციას უწევს კომიტეტის მუშაობას და უძღვება კომიტეტის სხდომებს.

6.2. ასოციაციის თავმჯდომარის წინასწარი თანხმობის საფუძველზე, კომიტეტის თავმჯდომარეს უფლება აქვს გააკეთოს საჯარო განცხადებები კომიტეტის საქმიანობასა და კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

6.3. კომიტეტის თავმჯდომარის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ასოციაციის ანდა კომიტეტის თავმჯდომარის თხოვნის

საფუძველზე, კომიტეტის მუშაობას კოორდინირებას უწევს თანათავმჯდომარე.

მუხლი 7. კომიტეტის მდივანი

7.1 კომიტეტის სამდივნოს ფუნქციებს ასრულებს ასოციაციის აპარატი.

7.2. მდივანი ორგანიზებას უწევს კომიტეტის შეხვედრისა და კომიტეტის სხდომის ოქმის შედგენასა და მის ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისათვის.

მუხლი 8. კომიტეტის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა

8.1. კომიტეტის წევრები თავის საქმიანობას ახორციელებენ საზოგადოებრივ საწყისებზე.

8.2. კომიტეტის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები და მოწვეული ექსპერტები შეიძლება დაფინანსდეს ასოციაციის ბიუჯეტიდან ანდა კომიტეტის მიერ, ასოციაციით თავჯდომარესა და აპარატთან კოორდინაციით, მოძიებული გრანტისა და შემოწირულობის სახსრებიდან.

8.3. კომიტეტისათვის გამოსაყოფი ბიუჯეტის ოდენობას ამტკიცებს აღმასრულებელი საბჭო.

8.4. გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მიმართულებებსა და პრიორიტეტებს განსაზღვრავს თავად კომიტეტი.

მუხლი 9. დებულების შეცვლა

9.1. წინამდებარე დებულების ცვლილებებსა და დამატებებს, აგრეთვე დებულების ახალ რედაქციას ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

9.2. დებულების ცვლილებებისა და დამატებების ან დებულების ახალი რედაქციის პროექტს ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს კომიტეტის თავმჯდომარე.

მუხლი 10. დებულების მოქმედების ვადა

წინამდებარე დებულება ძალაში შედის ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების დღიდან და მოქმედებს კომიტეტის საქმიანობის ვადით.